

მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსს.

მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის მიზანი:

- საქართველოსა და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში, ვორკშოპებში/ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით;
- ადგილობრივი/საერთაშორისო შემოქმედებითი და საქმიანი კონტაქტების დამყარება/განვითარების ხელშეწყობა;
- ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის პრიორიტეტები:

- კულტურულ ან/და საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მნიშვნელობა ბენეფიციარის პროფესიული განვითარებისთვის;

მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის პირობები:

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2019 წლის 1 იანვრისათვის რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს (საქართველოს მოქალაქე), ფიზიკურ პირთა ჯგუფს (საქართველოს მოქალაქეები) ან/და იურიდიულ პირს, გარდა, საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლებისა.
 - ✓ თუ განმცხადებელი ფიზიკურ პირთა ჯგუფია, მიმართვის წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს თითოეული პირის მიერ, ან წარმოდგენილ იქნას ჯგუფის წევრთა თანხმობის წერილი წარმომადგენლად 1 პირის (სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე;
 - ✓ მობილობის პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე ფიზიკურ პირთა ჯგუფმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს მინდობილობის დოკუმენტი, ჯგუფის წარმომადგენლად და საგრანტო წესით მიღებული ფულადი სახსრების განმკარგველად 1 პირის (სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე.
 - ✓ თუ მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსში მონაწილე პირი არასრულწლოვანია, განმცხადებელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი არასრულწლოვანი პირის ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ თანხმობის თაობაზე;

- განაცხადით წარმოდგენილი ღონისძიება უნდა იყოს:
 - ❖ სახელოვნებო ხასიათის: ქორეოგრაფიული, მუსიკალური, თეატრალური, სალიტერატურო, საგამოფენო;
 - ❖ საგანმანათლებლო ხასიათის: ტრენინგი/ვორკშოპი კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით;
- განაცხადების მიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში იწარმოებს წელიწადში 5-ჯერ 2019 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე შემდეგი განრიგით:
 - I ეტაპი: 21 - 31 იანვარი (09 საათიდან - 17 საათამდე)
 - II ეტაპი: 1-11 მარტი (09 საათიდან - 17 საათამდე)
 - III ეტაპი: 1 - 10 მაისი (09 საათიდან - 17 საათამდე)
 - IV ეტაპი: 1-10 ივლისი (09 საათიდან - 17 საათამდე)
 - V ეტაპი: 2 – 10 სექტემბერი (09 საათიდან - 17 საათამდე)
- საკონკურსო დოკუმენტაცია სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
- საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა დარეგისტრირდეს სამინისტროს კანცელარიაში 1 ეგზემპლარად მატერიალური ან ელექტრონული სახით. საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტები ავტორებს არ უბრუნდებათ;
- მობილობის ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებულ პირს ან პირთა ჯგუფს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კომისია;
- კონკურსის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს (თანადაფინანსება გულისხმობს როგორც მიმწვევი მხარის მიერ გაწეულ ხარჯს, ასევე სხვა ალტერნატიულ დაფინანსებას);
- მობილობის ხელშეწყობის კონკურსის 2019 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 100 000 ლარით;
- განაცხადით მობილობის დასაფინანსებლად მოთხოვნილი ჯამური თანხა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 10 000 ლარს;
- კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს ღონისძიებაზე რეგისტრაციის/მონაწილეობის, ტრანსპორტირების, განთავსების, კვების, პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯი;
- სამინისტროს მიერ ანაზღაურდება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ გაწეული ხარჯები (რეგისტრაციის/მონაწილეობის, ტრანსპორტირების, განთავსების, კვების, პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯი). განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენამდე გაწეული ხარჯი ანაზღაურდება მხოლოდ ავიატრანსპორტირების პუნქტის ფარგლებში, განმცხადებლის მიერ ავიაბილეთისა და მისი შესყიდვის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენის შემთხვევაში.
- განაცხადით დასაფინანსებლად წარმოდგენილი განთავსების და კვება/შიდა ტრანსპორტირების ხარჯი გათვლილი უნდა იყოს არაუმეტეს 10 კალენდარულ დღეზე;
 - ❖ **შენიშვნა:** ვადის გაანგარიშება უნდა მოხდეს ღონისძიების თარიღებისა და ავიატრანსპორტირების ვადების გათვალისწინებით;
- კონკურსის ფარგლებში თანხა გაიცემა საგრანტო წესით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად;
- მობილობის პროექტი უნდა დასრულდეს 2019 წლის 20 დეკემბრამდე;
- მობილობის ხელშეწყობის კონკურსის ფარგლებში განმცხადებელი დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ ერთხელ. ხელახალი განაცხადის შემოტანის შემთხვევაში, განაცხადი არ განიხილება;

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ინდივიდუალური შემსრულებლის (ფიზიკური პირი) შემთხვევაში საჭიროა:

1. განაცხადის ფორმა;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და მოქალაქის რეგისტრაციის დამადასტურებელი საინფორმაციო ბარათი (რომლითაც დგინდება მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი);
3. შემოქმედებითი ბიოგრაფია (CV);
4. ოფიციალური მოწვევა კულტურულ/საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად; უცხოენოვანი მოწვევის შემთხვევაში ქართულ ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
5. ცნობა დაფინანსების შემთხვევაში სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ხელშეშლელი პირობების არარსებობის შესახებ;
6. მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ თანხმობის თაობაზე, მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსში მონაწილე პირის არასრულწლოვნების შემთხვევაში;
7. ტრანსპორტირებისა და განთავსების მომსახურების ღირებულების ამსახველი წინასწარი დოკუმენტი, აღნიშნული ხარჯის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;
8. საბანკო რეკვიზიტები (სასურველია შესაბამისი ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი);
9. თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტები, არსებობის შემთხვევაში;
10. სარეკომენდაციო წერილი ორგანიზაციის ან კერძო პირისგან, არსებობის შემთხვევაში;

არარეგისტრირებული შემოქმედებითი ჯგუფის (ფიზიკურ პირთა ჯგუფი) შემთხვევაში საჭიროა:

1. განაცხადის ფორმა;
 - ❖ **შენიშვნა:**
 - ✓ მიმართვის წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს თითოეული პირის მიერ, ან წარმოდგენილ იქნას ჯგუფის წევრთა თანხმობის წერილი წარმომადგენლად 1 პირის (სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე.
 - ✓ მობილობის პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე ფიზიკურ პირთა ჯგუფმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს მინდობილობის დოკუმენტი, ჯგუფის წარმომადგენლად და საგრანტო წესით მიღებული ფულადი სახსრების განმკარგველად 1 პირის (სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე.
2. ჯგუფის თითოეული წევრის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და მოქალაქის რეგისტრაციის დამადასტურებელი საინფორმაციო ბარათი (რომლითაც დგინდება მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი);

- ინფორმაცია მობილობის მონაწილე შემოქმედებითი ჯგუფის საქმიანობის შესახებ (შემოქმედებითი ბიოგრაფია);
- ოფიციალური მოწვევა კულტურულ/საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად; უცხოენოვანი მოწვევის შემთხვევაში ქართულ ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ცნობა დაფინანსების შემთხვევაში სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ხელშეშლელი პირობების არარსებობის შესახებ;
- მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ თანხმობის თაობაზე (მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსში მონაწილე პირის არასრულწლოვნების შემთხვევაში);
- ტრანსპორტირებისა და განთავსების მომსახურების ღირებულების ამსახველი წინასწარი დოკუმენტი, აღნიშნული ხარჯის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;
- საბანკო რეკვიზიტები (სასურველია შესაბამისი ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი);
- თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტები, არსებობის შემთხვევაში;
- სარეკომენდაციო წერილი ორგანიზაციის ან კერძო პირისგან, არსებობის შემთხვევაში;

იურიდიული პირის შემთხვევაში საჭიროა:

- განაცხადის ფორმა;
- სადაამფუძნებლო დოკუმენტი (საიდანაც დგინდება იურიდიულ მისამართად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი);
- ინფორმაცია მობილობის მონაწილე იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ (შემოქმედებითი ბიოგრაფია);
- ოფიციალური მოწვევა კულტურულ/საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად; უცხოენოვანი მოწვევის შემთხვევაში ქართულ ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად მიერ დამოწმებული ასლი;
- ცნობა დაფინანსების შემთხვევაში მობილობაში მონაწილე პირთა სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ხელშეშლელი პირობების არარსებობის შესახებ;
- მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ თანხმობის თაობაზე, მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსში მონაწილე პირის არასრულწლოვნების შემთხვევაში;
- ტრანსპორტირებისა და განთავსების მომსახურების ღირებულების ამსახველი წინასწარი დოკუმენტი, აღნიშნული ხარჯის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;
- საბანკო რეკვიზიტები (სასურველია შესაბამისი ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი);
- თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტები, არსებობის შემთხვევაში;
- სარეკომენდაციო წერილი ორგანიზაციის ან კერძო პირისგან, არსებობის შემთხვევაში;

საკონკურსო განაცხადების განხილვის წესი:

- სამინისტროში დარეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს ადმინისტრაციული შემოწმებისა და შესაძლო ხარვეზების გამოვლენის მიზნით პირველ ეტაპზე განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი საგრანტო კომისიის აპარატი. ხარვეზ(ებ)ის დადგენის შემთხვევაში განმცხადებელს საშუალება ექნება ხარვეზ(ებ)ის დადგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ განიხილება კომისიის მიერ;
- საგრანტო კომისიის აპარატის მიერ საკონკურსო განაცხადის შესწავლისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შემდეგ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კომისია წინასწარ შემუშავებული და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს ეცნობება განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 20 სამუშაო დღის ვადაში;
- ანგარიშსწორება გრანტის მიმღებთან განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ანგარიშსწორების/ანგარიშგების წესი:

- გრანტის მიმღებთან შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, ხოლო მობილობის პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის მიმღებმა სამინისტროში დადგენილი წესით უნდა წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;
- მობილობის პროექტი დასრულებულად ჩაითვლება და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მას შემდეგ, რაც გრანტის მიმღები, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, წარმოადგენს საბოლოო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;
- მიღებული თანხის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები;
- განაცხადით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის წინასწარ განსაზღვრულ პუნქტებს შორის თანხის გადატანა შესაძლებელია სამინისტროდან მიღებული დაფინანსების არაუმეტეს 15% ოდენობით;
- განაცხადით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის პუნქტის აღწერილობაში რაიმე ცვლილების ან პუნქტის დამატების შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებულია, აღნიშნული საკითხი წინასწარ წერილობით შეათანხმოს გრანტის გამცემთან;
- ზემოაღნიშნულის წარმოუდგენლობის შემთხვევაში გაცემული გრანტი ჩაითვლება არამიზნობრივად გახარჯულად;
- დაუშვებელია საგრანტო ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა;

კონკურსის პირობები, განაცხადისა და ანგარიშების ფორმები, ასევე, საკონკურსო დოკუმენტაციის დამხმარე სახელმძღვანელო განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.moecs.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი:

ელ-ფოსტა: artistsmobility.ajara@gmail.com

ტელ: 422 245382

მისამართი: ბათუმი, გუდიაშვილის ქუჩა №4